1:0 თბილისის “დინამო” ამარცხებს “სპარტაკს”. 25 ქულა

მოსკოვი. ვ.ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 11 აგვისტო.

“სპარტაკი” (მოსკოვი) - “დინამო” (თბილისი) - 0:1 (0:0).

“სპარტაკი”: მასლაჩენკო, გრიგორიევი, კორნეევი, დიკარევი, ვარლამოვი, ნეტო, პოსუელო, ფალინი (რეინგოლდი), ლოგოფეტი, სევიდოვი, ჰუსაინოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ზეინკლიშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, მეტრეველი, ბარქაია, აფშევი, დათუნაშვილი.

მსაჯი: ა. ალოვი (ლენინგრადი).

ლიდერთა ჯგუფში ახლა მეტისმეტი სივიწროვეა. საკმარისია მცირე წაფორხილება და გუნდმა შეიძლება საგრძნობლად გაიუარესოს სატურნირო მდგომარეობა. ამიტომ გუშინდელი მატჩი მოსკოვის “სპარტაკსა” და თბილისის “დინამოს” შორის უდიდესი მნიშვნელობისა იყო ორივე მეტოქისთვის.

ბრძოლას უაღრესად დაძაბული ხასიათი ჰქონდა. როგორც მოსკოველი, ისე თბილისელი თავდამსხმელები თამაშობდნენ აქტიურად და ხშირად ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. სპარტაკელებმა შეძლეს მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვება ტაიმის დასასრულს, მაგრამ “დინამოს” დაცვა საიმედოდ იცავდა კარს - 0:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა მნიშვნელოვნად გამოაკეთეს თამაში. მასპინძელთა საჯარიმო მოედანზე ზედიზედ იქმნებოდა სახიფათო მომენტები, გოლის გატანის რამდენიმე რეალური შანსი ჰქონდათ მეტრეველსა და ბარქაიას.

გოლი, რომელმაც გამარჯვება მოუტანა თბილისის “დინამოს”, გატანილ იქნა 61-ე წუთზე. ბარქაიამ, იამანიძემ და მეტრეველმა გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც უძლიერესი დარტყმით დააგვირგვინა თბილისელთა მარჯვენა გარემარბმა მეტრეველმა - 1:0. დარჩენილ დროში დინამოელები განაგრძობდნენ აღმავლობით თამაშს და გამარჯვებაც მათ დარჩათ.

ამავე გუნდების დუბლიორთა მატჩი მოიგო “სპარტაკმა” - 2:1. გადამწყვეტი გოლი მოსკოველებმა გაიტანეს მატჩის დამთავრებამდე 10 წამით ადრე.

“ლელო”, 12 აგვისტო, 1964 წ.